

## ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი

### ეკლესიები, მეჩეთები

#	სოფელი	დასახელება	მოკლე აღწერა
1	აჭარისწყალი (ცენტრი)	ივერიის ღვთისმშობლის კარიბჭის ეკლესია	მდინარე აჭარისწყლისა და ხმელეთის გასაყარზე, იქ სადაც სოფლის ერთი მხარე მეორე ნაწილს ხიდით უერთდება აგებულია ტაძარი. ჯერ კიდევ მანამ, სანამ აჭარისწყლები მშენებლობას დაიწყებდნენ ახალგაზრდებმა მდინარეში ჯვარგამოსახული ქვა იპოვეს. რომელსაც ტაძარში საგანგებო ნიშაში მიუჩინეს ადგილი. ტაძარს აქვს უამრავი შემოწირულობა. ამჟამად წირვა-ლოცვას ადავლენს მამა იოსებ მამულაძე
2	ერგე	ჯამე	მანამდე იყო სამხედრო დანიშნულების ობიექტი. შემდგომ, როგორც მეჩეთი ფუნქციონირება დაიწყო 1991 წელს. ლოცვას ადავლენს რომან გორაძე. მეჩეთს ჰყავს 25-დან 30-მდე მრევლი.
3	ქვემო ჯოჭო	თევდორე წმინდანის სახელობის ეკლესია	ეკლესიის მშენებლობა დაიწყო 2007 წელს დავით თედორაძის ინიციატივით და დასრულდა 2013 წელს. ეკლესია მდებარეობს დავით თედორაძის საგვარეულო ტერიტორიაზე. ამჟამად ლოცვას ადავლენს მამა ანდრია სურმანიძე
4	ზემო ჯოჭო	ჯამე	მეჩეთი აშენდა 2005 წელს შემოწირულობებისა და ადგილობრივი მოსახლეობის მიერ შეგროვებული თანხით. ამავე წელს დაიწყო ფუნქციონირება. ამჟამად ლოცვას ადავლენს ისმაილ ზოიძე
5	ხელვაჩაური	ჯამე	აშენდა 1896 წელს და დღემდე ფუნქციონირებს. ლოცვას ადავლენს იოსებ გუნდაძე
6	მახვილური	ჯამე	აშენდა 1920 წელს როგორც მეჩეთი. 1936 წლიდან 1965 წლამდე იყო სკოლა. 1965 წლიდან 1986 წლამდე ფარდული. 1994 წელს მოხდა მისი რეაბილიტაცია და დაიწყო ფუნქციონირება როგორც მეჩეთმა. ლოცვა მიმდინარეობს ყოველ პარასკევს
7	სარფი	სარფის წმინდათანა 300 მხედართა, მღვდელთათანა ყოველთა მართმადიდებელ ლაზთა ქრისტეს სარწმუნოებისათვის, დუდუყვეთთა და პაპაფში მუსლიმანთაგან წამებულთა მამათა მონასტერი, მდებარე სოფელ სარფში	მონასტრის მშენებლობა ჯერ არ დასრულებულა. მონასტერში მოღვაწეობს ილუმენი მამა ეგნატე
8	სარფი	სარფის იოანე ღვთისმეტყველის სახელობის დედათა მონასტერი	იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ეკლესია თარიღდება მე-7-8 საუკუნეებით. მას აქვს ძეგლის სტატუსი. ჩვენამდე მოაღწია ნანგრევების სახით, მხოლოდ მისი დასავლეთ ნაწილი იყო გადარჩენილი. 2015 წელს დაიწყო ფუნქციონირება ტაძარმა. ამავე ტერიტორიაზე 2011 წელს დაარსდა დედათა მონასტერი. მონასტრის წინამძღვარია ილუმენია ეფემია დუმბაძე, ხოლო მოძღვარი დეკანოზი იაკობ ბენიძე.
9	სარფი	ქილისე	სამოლოცველო სოფელ სარფის თავშია აგებული შემადლებულ ადგილზე, მის სამხრეთით მდინარე "კალინდერე" იღებს სათავეს. მთლიანად ამ ადგილს კი "ოკანდალეს" უწოდებენ. მშენებლობის სტილის მიხედვით ვარაუდობენ, რომ ის აშენებულია ანდრია პირველწოდებულის საქართველოში შემოსვლის შემდეგ. მოგვიანებით გაჩნდა ვერსია, რომ ის VI საუკუნეში აშენებულია.

10	სარფი	სარფის წმინდა ანდრია პირველწოდებულის ეკლესია	სარფის ტაძრის მშენებლობას საფუძველი 2004 წელს ჩაეყარა. ტაძარი ძირითადად მასიური ქვითაა ნაშენი, რაც მშენებლობის განსაკუთრებულ სირთულეებზე მიუთითებს. სარფის ტაძარი ძველი ტაო-კლარჯეთის ხუროთმოძღვრული სტილითაა წარმოდგენილი და შუა საუკუნეების შემდგომ განვითარებული ქართული ხუროთმოძღვრული არქიტექტურის ნიმუშს წარმოადგენს. ტაძარში მოცემულია საქართველოში გავრცელებული ჩუქურთმის თითქმის ყველა სახეობა. მასში გამოყენებულია ლორფინით (ლორფინის ქვა) გადახურვის მეთოდი, რაც უძველესი ქართული ტრადიციის გაგრძელებად მიიჩნევა. სარფის წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ტაძარი 2012 წლის 19 ოქტომბერს ეკურთხა.
11	ახალშენი	ფერისცვალების სახელობის ეკლესია	ჯვარ-გუმბათოვანი ტაძარი მდებარეობს ზღვის დონიდან 100 მეტრზე მდ. ბარცხანის ნაპირზე, აგებულია მეოცე საუკუნის დასაწყისში. აშენებულია რიყის და თლილი ქვით. შენობის სიგანე 11 მეტრია, სიმაღლე საკურთხეველის ჩათვლით 16 მეტრი, სიმაღლე გუმბათითურთ 21მ. ტაძარი საუკუნის დასაწყისში ააგეს პონტოელმა ბერძნებმა, რომლებიც აქ 1878წ. რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ ჩამოსახლდნენ.
12	სამება	ყოვლადწმინდა სამების დედათა მონასტერი	სამების ეკლესია აგებულია აჭარა-გურიის ქედის შავიზღვისპირა დაბლობის დასავლური განშტოების გორაკზე ზღვის დონიდან 400 მ. სიმაღლეზე. სამების ეკლესია 1875 წლამდე უვნებელი ყოფილა, მაგრამ 1877-1878 წწ. რუსეთ-თურქეთის ომის დროს ოსმალებს აუფეთქებიათ. დღეისათვის მიმდინარეობს სამების ყოვლადწმინდა სამონასტრო კომპლექსის მშენებლობა, რომელსაც ღირსეული მამულიშვილი ბატონი შალვა ბრეუსი აშენებს.
13	სამება	სამების ეკლესია	სამების ეკლესია მე-14-15 საუკუნეებით თარიღდება. მეფის რუსეთის დროს იყო სამხედრო დანიშნულების ობიექტი, მისგან შემორჩა მხოლოდ ორი კედელი. 2000 წელს კი დაიწყო მისი აღდგენა. ლოცვას ამჟამად ადავლენს მამა ნიკოლოზი. ეკლესიამ ფუნქციონირება დაიწყო 2015 წელს. 2007 წელს იქვე დაარსდა დედათა მონასტერი. ეკლესიის აღდგენა მოხდა შალვა ბრეუსის დაფინანსებითა და ინიციატივით. გათხრებისას ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე აღმოაჩინეს 7 ბერის ცხედარი, რომლებიც გადასვენებულია ახალშენის ფერისცვალების ეკლესიის ეზოში. შემდგომ დაგეგმილია მათი უკან გადმოსვენება.
14	ხერხეულიძე	ჯამე	მეჩეთი აშენდა 1997 წელს. ლოცვას ადავლენს შალვა თურმანიძე
15	ზედა ახალშენი	ჯამე	მეჩეთი ექსპლუატაციაში შევიდა 2004 წელს. ლოცვას ადავლენს ენვერ საგინაძე
16	ახალშენი	ჯამე	მეჩეთის მშენებლობა 1998 წელს დაიწყო და 2006 წელს დასრულდა. დღეის მდგომარეობით მეჩეთი მოქმედია. ლოცვას ადავლენს როლანდ კახაძე
17	აგარა	ჯვართამაღლების მამათა მონასტერი	ჯვართამაღლების მამათა სამონასტრო კომპლექსის მშენებლობა სოფლის მაცხოვრებლებისა და თემურ ბაკურიძის ინიციატივით დაიწყო. 2004 წელს მოხდა გზის შეყვანა, ხოლო 2005 წელს ეკურთხა საკურთხეველი. მშენებლობა ბოლომდე დასრულებული არ არის. თავიდან მეუფე დიმიტრიმ აკურთხა წინამძღვრად მამა თევდორე ახალაძე. მასთან ერთად მოღვაწეობს მამა მაქსიმეც. დასრულების შემდეგ იცხოვრებს 12 ბერი. აგრეთვე იფუნქციონირებს კაზანი მორჩილების სასწავლებელი. იქვე იგეგმება წმინდა გიორგის ტაძრის მშენებლობაც. ტაძარი სოფელ აგარიდან დაშორებულია 1,8 კმ-ით.

18	ორთაბათუმი	წმ. პანტელეიმონის სახელობის ეკლესია (ყოფილი ბერძნების ეკლესია)	წმინდა პანტელეიმონის ეკლესია მდებარეობს სოფ. ორთაბათუმის ცენტრთან ჩრდილო-აღმოსავლეთ ფერდობზე. იგი აშენდა მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში. ადრე ითვლებოდა კარის ეკლესიად. შემდეგ გაუქმდა კომუნისტური რეჟიმის დროს. 90-იანი წლებიდან ეკლესია ადადგინა მამა სერაფიმემ. ახლა მოღვაწეობას აგრძელებს და წირვა-ლოცვას ადავლენს მამა ლუკა.
19	ჩელტა	ჯამე	მეჩეთი აშენდა 2000 წელს სოფლის მკვიდრების ინიციატივით. დღეისათვის ლოცვას ადავლენს ჯემალ ბოლქვაძე
20	ყოროლისთავი	ჯამე	მეჩეთი აშენდა 2005 წელს, ადგილობრივი მოსახლეობისა და სულხან ფაღავას ინიციატივით. თავდაპირველად ლოცვას ატარებდა სულხან ფაღავა. დღეისათვის ლოცვას ადავლენს დანიელ მუფთი
21	მახო	ჯამე	მეჩეთი მდებარეობს გოჩის უბანში. იგი აშენდა 2015-2016 წწ. ადგილობრივი მოსახლეობის ინიციატივით. ლოცვას ადავლენს ალი ბოლქვაძე
22	ჭარნალი	ჯამე	მეჩეთი აშენდა 1992 წელს მევლუდ სურმანიძის ინიციატივით. ამჟამად ლოცვას ატარებს ხვიჩა ცინცაძე. მეჩეთი მდებარეობს სოფელ ჭარნალის ცენტრში
23	ახალსოფელი	ჯამე	მეჩეთი მდებარეობს ახალსოფლის ცენტრიდან 500 მ. მოშორებით. მე-20 საუკუნის ბოლოს ყოფილი ჩაის მიმღები პუნქტის შენობა ადგილობრივი მოსახლეობის ინიციატივით გადაკეთდა მეჩეთად. ლოცვას ადავლენს ოსმან ნაკაიძე
24	ახალსოფელი	ეკლესია	მშენებლობის პროცესშია.
25	ფერია	მონასტერი	მონასტრის მშენებლობა დაიწყო 2012 წელს და დასრულდა 2020 წელს. აქვე იგეგმება გიმნაზიის მშენებლობაც.
26	ფერია	ჯამე	მეჩეთი აშენდა დაახლოებით მე-20 საუკუნის დასაწყისში. ლოცვას ადავლენს რომან საკანდელიძე
27	მარადიდი	ჯამე	ჯამის მშენებლობა დაიწყო 1907 წელს და დასრულდა 1912 წელს. ლოცვას ადავლენს თამაზ დიდმანიძე